ხელშეკრულება № 26

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. სამტრედია 6. 05. 2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ ნანული მანჯგალაძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ ნონა კაცაძე , (შემდგომში - მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე -3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სამეურნეო საქონლის (CPV:18100000, CPV:19400000, CVP: 30100000, CVOP:31200000, CVP:31500000, CVP:31600000, CVP:39200000, CVP:42100000, CVP43100000, CVP:44100000, CVP:44300000, CVP44400000, CVP:44500000, CVP:44800000, CVP:44900000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის ღირებულება შეადგენს 950,00 ლარს (ცხრაასორმოსდა ათი ლარი და 00თ.).

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2019 წლის 15 დეკემბერის ჩათვლით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;
ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო
6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი
7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი
9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება ფორმდება ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

შემსყიდველი: სსიპ - ქალაქ სამტრედიის №11 საჯარო სკოლა ს/კ 238762987 მის: ქ. სამტრედია, თელიას ქ.N2 ტელ: 577933802 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,თიბისი ბანკი " ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE60TB7606433020100001 **დირექტორის მ/შ ნანული მანჯგალაძე**	**მიმწოდებელი:** ი/მ ,,ნონა კაცაძე" ს/კ 17001010130 მის.: ქ. სამტრედია, კრავეიშვილის ქ. N28 ტელ.: საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,თიბისი ბანკი'' ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE42TB7982236010100036 **ი/მ ,,ნონა კაცაძე''**

დანართი 1

სამეურნეო საქონელი

N	დასახელება	C P Vკოდი	განზომ.	რ-ბა	ერთ-ის ფასი	ღირებულება
1	ხელთათმანი	1814100	ცალი	2	1	2
2	ჩამრთველი	31210000	ცალი	1	3	3
3	ონკანის გული	42132200	ცალი	2	5	10
4	ბურღი	44512910	ცალი	8	4	32
5	ფანარი	31521320	ცალი	1	8	8
6	ონკანის გული	42132200	ცალი	2	4	8
7	საიზოლაციის ლენტა	31651000	ცალი	4	1.5	6
8	ჭანჭიკი/ქანჩი	44531400/ 44531600	კგ	3.4	10	34
9	სიფონი	44411000	ცალი	2	3	6
10	შტორი	44115811	მეტრი	2	3,5	7
11	გასაღების გული	44522400	ცალი	6	5	30
12	როზეტი	31224100	ცალი	1	3	3
13	დრელი	43130000	ცალი	1	80	80
14	შურუპი	44531300	კგ	1	12	12
15	ლურსმანი	44192200	კგ	3	3	9
16	საშლელი (ნასადკა)	44512800	ცალი	3	2	6
17	მუყაო-თაბაშირის ფილა	44111700	ცალი	1	11	11
18	დისკი 230	44500000	ცალი	2	3	6
19	დისკი 180	44500000	ცალი	1	2	2
20	გასაღების გული	44522400	ცალი	2	7	14
21	ბოქლომი	44521200	ცალი	2	5	10
22	ხელთათმანი	18141000	ცალი	3	3	9
23	ძუა	19442000	მეტრი	5	1	5
24	ლურსმანი	44192200	ცალი	1	4	4
25	საშლელი	44512800	ცალი	1	4	4
26	რეზინის მილი	44165100	მეტრი	4	4	16
27	მეტალის ჯაჭვი	44521220	მეტრი	2	4	8
28	საღებავი	44812200	ყუთი (15კგ)	1	120	120
29	ფანტანის ონკანი	42131400	ცალი	2	7	14
30	ონკანის გული	42132200	ცალი	5	5	25
31	ხამუტი	44163210	ცალი	10	1.5	15
32	საღებავი	44111400	ქილა (1კგ)	1	5	5
33	ხელთათმანი	18141000	ცალი	1	1,5	1,5
34	ონკანი	42131400	ცალი	3	12	36

35	ნამგალი	44511000	ცალი	2	6	12
36	კარის საკეტი	44521100	ცალი	1	15	15
37	მილი 100მმ	44161200	მეტრი	6	15	90
38	სკოლჩი	30192700	ცალი	3	1	3
39	შპაკლი	44920000	კგ.	3	10	30
40	კარის საკეტი	44521100	ცალი	1	22	22
10	საზომი ლენტი	30192200	ცალი	1	5	5
42	მავთულბადე	44313100	მეტრი	2	6	12
43	ძაფი	19442000	ცალი	11	4,4	48
44	საღებავი ჯაგრისი	39224200	ცალი	1	7	7
45	კარის საკეტი	44521100	ცალი	1	15	15
46	მილი 34მმ	44161600	ცალი	10	6	60
47	მილის გადამყვანი მუხლი 34მმ	43132400	ცალი	80	0.5	40
48	სკოლჩი	30192700	ცალი	2	7	14
49	ხელთათმანი	18141000	ცალი	1	2	2
50	ლურსმანი	44192200	ცალი	1	4	4
51	შურუპი	44531300	კგ	0.5	12	6
52	კარის საკეტის გული	44522400	ცალი	1	5	5
						950